

კლიჩის გაბრო-დიორიტული ინტრუზივის პეტროლოგია და გეოქიმია

კრისტინე ვარდანაშვილი

gristine.vardanashvili@tsu.ge

გეოლოგიის დეპარტამენტი, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
თბილისი, უნივერსიტეტის ქ.#2

კლიჩის გაბრო-დიორიტული ინტრუზივის მდებარეობს კავკასიონის მთავარი ქედის საუღელტეხილო ქვეზონაში და მონაწილეობას იღებს კავკასიონის კრისტალური გულის აგებულებაში. მისი გამოსავლები ფიქსირდება ზემო აფხაზეთის ტერიტორიაზე, მდ.კლიჩის (მდ.კოდორის სათავეები) ხეობაში და მოიცავს დაახლოებით 10 კმ²-ს.

კვლევის ძირითადი მიზანი იყო, კლიჩის გაბრო-დიორიტული ინტრუზივის დეტალური და კომპლექსური გეოლოგიური, პეტროლოგიურ-მინერალოგიური და გეოქიმიური შესწავლა, ასევე ინტრუზივის კონტაქტურ ზოლში განვითარებული ქანების - ფელსების შესწავლა. ახალი ანალიტიკური მონაცემების საფუძველზე ჩატარებულია მეტამორფული და მაგმური პროცესების პეტროლოგიურ-მინერალოგიური, გეოქიმიური და იზოტოპურ-გეოქრონოლოგიური დახასიათება, მოხდა ინტრუზივის ფორმირების გეოდინამიკური პირობების განსაზღვრა, დაფიქსირდა ფელსების გავრცელების უბნები და განისაზღვრა მათი ფიზიკო-მექანიკური მაჩვენებლები.